ოქმი N3

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2019 წლის 6 მარტი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 12

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 11

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ვლადიმერ ქანთარია
4. დავით ბერაია
5. ტარიელ ალექსანდრია
6. თეა გელანტია
7. დოდო გაბუნია
8. მერაბ ფილიპია
9. კახა ლატარია
10. ბექა მამაცაშვილი
11. თემურ გულუა

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 5 მარტის N06/659 წერილის განხილვა („საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 5 მარტის N06/659 წერილის განხილვა („საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ჩატარდა დასახლებების საერთო კრებები/კონსულტაციები, სადაც განხორციელდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საპროექტო წინადადებების შერჩევა. საქართველოს მთავრობის იმავე დადგენილების თანახმად, დასახლების საერთო კრებაზე შერჩეული პროექტები დასამტკიცებლად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რისთვისაც მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ". გამომსვლელის განცხადებით წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიჩნია მისი გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა იმ თანამდებობობის პირებს, რომლებიც ჩართულები იყვნენ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი პროექტების შერჩევაში მოსახლეობასთან ერთად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ ბიუროს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა